**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 დეკემბერს**

---

თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი თავისის ასულებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა კნეინა **ფეოდოსია დავითის ასულის ერისთავისას** ოთხს ამა დეკემბერს, დილით, და სთხოვს, მობრძანდნენ პანაშვიდზედ ექვს დეკემბერს, შვიდს საათზე, საღამოთი, ხოლო მიცვალებულის გამოსვენებაზედ შაბათს, შვიდს ამ თთვისას, დილის ათს საათზე, წმიდის გიორგის ქვაშვეთის ეკკლესიაში.

---

კვირას, 8 დეკემბერს,

ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში



მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტი, წევრი ბერლინის საფიზიკო კაბინეთისა, ჩვენის დროის პირველი პრესტიდიჟიტატორი, კავალერი ორდენებისა „მეჯიდიესი“ და „ლომისა და მზისა“ ნ. ა. კაზლოვი გამართავს საგანგებო უკანასკნელს წარმოდგენას.

„სიკვდილით დასჯა“

ეს გამოგონილია 1850 წ. ცნობილის პროფესორის არნოლდ პეპის მიერ. ამ მეტოდით აქამდე ჯერ არც ერთს თვალთმაქცს არ გაუმართავს წარმოდგენა.

(1—2)

---

## ახალი ამბავი

*** „სამშობლოს“ შემდეგ ერთი კიდევ სასიამოვნო სანახავი მოელის ქართულს თეატრში მოსიარულე საზოგადოებას. როგორც დაბეჯითებით შევიტყეთ, ქართულს დრამატიულს კომიტეტს გადაუწყვეტია, ოპერეტის წარმოდგენა გამართოს. პირველად წარმოადგენენ ოპერეტს „მასკოტს“ („Красное Солнышко“), რომელსაც ქართულად „ნატვრის თვალი“ ეწოდება და უკვე მზად არის კიდეც. ამ ოპერეტში მონაწილეობას მიიღებენ უკვე ცნობილი მომღერალი ქ-ნი ძნელაძისა და ბ-ნი ცხომელიძე. ოპერეტის წარმოდგენა 20 ამ დეკემბრისათვის არის დანიშნული.

*** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, ქართული დრამატიული დასი 11 ამ თთვისას წარმოადგენს ისტორიულს დრამას გ. ერისთავისას „სამშობლო“-ს. ეს დრამა, კარგა ხანია აღარ წარმოუდგენიათ და ამიტომ საზოგადოება თითქმის დანატრულდა იმისს ნახვას. თეატრის ჩარჩებმაც შეიტყეს ეს გარემოება და ჯერ არც-კი გამოსულა განცხადება, რომ მთელის წარმოდგენის ბილეთები ხელთ იგდეს: რა არის, ერთი ორად და ერთი-სამად გავყიდოთ მსურველებზეო. წარმოდგენამდე ჯერ ერთი სრული კვირა კიდევ არის დარჩენილი და ეხლავე თითქმის აღარ იშოვება ბილეთი თეატრის კასაში. თუ-კი რამე შეუძლიან თეატრის ადმინისტრაციაც, უნდა ყოველის ღონის-ძიებით ეცადოს ჩარჩების დასჯასა. ერთი-ორჯელ რომ რიგიანად აწვნევინოს, შემდეგ შეიძლება, ამოიკვეთონ და ან თუ არ ამოიკვეთავენ, ცოტათი მაინც შესუსტონ ჩარჩებმა თავიანთი ესეთი არა ღირსი საქციელი.

*** სამშაბათს, 3 დეკემბერს, იარმუკაზე ქალაქის მკურნალმა გასინჯა გასასყიდი სანოვაგე და, სხვათა-შორის, ბევრი გაფუჭებული დაკლული ინდაური ჰნახა. გაფუჭებული ინდაურები მაშინვე პოლიციამ წაართვა ვაჭრებს გადასაყრელად.

*** 5 დეკემბრიდამ ტფილისში ხორცს მოემატება ფასი გირვანქაზე 1/2 კაპეიკი.

*** ამ მოკლე ხანში ტფილისის საგუბერნიო საპატიმროში დაარსდა წიგნთ-საცავი. ეს, რასაკვირველია, საზოგადოებისთვის დიდად საყურადღებოა. წიგნთ-საცავში ბევრია: რუსული, სომხური და სხ. და სხ. წიგნები, მაგრამ, საუბედუროდ, წამლადაც არ მოიპოვება ქართული წიგნი, რაიცა უფრო საჭიროა პატიმართათვის. ამიტომ სასურველია, ქართველმა საზოგადოებამ დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეს.

*** დ. ახალ-სენაკი: 1-ს დეკემბერს ქართული წარმოდგენა გაიმართა ბ-ნ ა. ნებიერიძის მეთაურობით. მესამედი შემოსავალი დანიშნული იყო რუსეთის შუა გუბერნიების დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ. ითამაშეს აკაკის სამ მოქმედებიანი კომედია „კინტო“. წარმოდგენამ საზოგადოდ ცოცხლად ჩაიარა.

დიდის მადლობის ღირსია მაზრის უფროსის მეუღლე ქ-ნი ბ. ბებურიშვილისა, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმეს.

*** ბათუმიდამ სწერენ „გაზ. ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ 1 დეკემბერს აქ სადილი ჰქონდათ გამართული ნავთის გამყიდველთა ამხანაგობას, რომელიც ამ წლი-ნახევრის წინად დაარსდა და რომელიც ნავთსა ჰგზავნის აღმოსავლეთის შორეულს ქვეყნებში და ეხლავე უკვე მეასე გემი დაუტვირთავს ნავთით ამ ცოტა ხნის განმავლობაში. სადილს დასწრებიან, ამხანაგობის წევრთა გარდა, მანიაშოვისა, რიხნერისა, წოვიანოვისა, ანგელიდისა და მელქონიანცისა, წარმომადგენელნი ადგილობრივის მთავრობისა და საპატიო კაცნი ბათუმისა. სადილის შემდეგ ამხანაგობას შეუწირავს 500 მან. ღამის გასათევებლის თავ-შესაფარის გასამართად ბათუმში დამშეულ გუბერნიებიდამ მოსულთათვის, სომეხთ ეკლესიისათვის—200 მან., ბათუმის ქველ-მოქმედების საზოგადოების სამკურნალოსათვის 200 მან., მღვდელ ტერ-კონსტანტინესათვის 100 მან. ამას გარდა, სადილზე დამსწრეთ შეუგროვებიათ 500 მან. რუსეთში დამშეულთათვის გასაგზავნად.

---

# ფელეტონი

**ახალი რომანი გ. წერეთლისა—„პირველი ნაბიჯი“.**

(შემდეგი. იხ. „ივერია“ 259)

### II

გავიხსენოთ შინაარსი მეორე ნაწილისაც.

ბახვამ დაიტირა და დაასაფლავა ესმა სამეგრელო-იმერეთში მიღებულის წესითა და რიგით. ეხლა-კი ფარდა აიხსნება და ავტორი გაგვაცნობს იერემიას, რომელიც ამ დრომდე deus ex machina-ს მგზავსად დრო-დრო გამოჩნდებოდა ხოლმე რომანის პირველს ნაწილში. იწყება მეორე ნაწილი ესმას დასაფლავებით, რომელიც, ჩვენის აზრით, პირველს ნაწილს უნდა მიბმოდა, ხოლო მეორე ნაწილი-კი იერემიით უნდა დაწყებულიყო. მეორე ნაწილის უპირველესს გმირებად უნდა ჩაითვალონ: ვალი და იერემია და ჩვენი ნაცნობი ბახვა.

იერემია იყო ერთი ხელ-მოკლე თავადიშვილი. სწავლობდა გიმნაზიაში, მაგრამ ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და თავისის ამხანაგებით გამორიცხეს გიმნაზიიდგან. იერემია და მისი ამხანაგი მოირთვნენ ჩერქეზულად და ჩასხდნენ იარაღში. მშობლებმა გააგდეს სახლიდგან, მწერლებად დადეგით, ან რითიმე ირჩინეთ თავიო... ჩამოვიდნენ ქუთაისს იერემია და სამი მისი ამხანაგი და დაიწყეს თავისუფალი ცხოვრება. თუ სადმე ლხინი და პატიჟობა იყო, იერემია თავის ამხანაგებიანად იქ გაჩნდებოდა ხოლმე. საზოგადოდ ისინი ყოველთვის კარგად ჩაცმულები დაიარებოდენ. ლხინი და ქეიფი მათ ხელთ იყო. სხვა-და-სხვა ავაზაკურისა და არა წმინდა საშუალებითა ჰპოულობდნენ ცხოვრების სახსარს. ერთხელ იერემიას დაბრალდა რაღაც ავაზაკობა (მღვდლის გაძარცვა და მის ლამაზის ქალის გაუპატიურება), რის გულისათვისაც საპატიმროში დაამწყვდიეს. ბოლოს გამართლდა მაინც. ამ გარემოების შემდეგ იერემია სამხედრო სამსახურში, ცხენოსანთა ჯარში შევიდა. ეს ჯარი მაშინ ზღვის პირად იყო სადარაჯოდ ჩამორიგებული და დავალებული ჰქონდა, თვალ-ყური დაეჭირა, რომ „კონტრაბანდა“ არავის შემოეტანა. ამ სახით იერემიას საცხოვრებელი ადგილი ფოთი შეიქნა, რადგან იმ ჟამად ეგ ცხენოსანთა მილიცია აქ იყო დაბინავებული. იერემია თავისს ლხინს, ქეიფობასა და ამხანაგების პატიჟობას აქ უფრო მისდევდა, რადგან საშუალებაც მეტი ჰქონდა. ამიტომაც იმის გულისათვის ამხანაგები ცეცხლში ჩადგებოდნენ. იერემია კონტრაბანდის დევნის მაგიერ, თვითონ შეიქმნა პირველი შემწე და მომხრე მეკონტრაბანდეებისა. იმაზე უკეთ კონტრაბანდას ვერავინ ვერ გამოაპარებდა. ამ გვარ მოქმედებისათვის იერემიაზე საჩივარი შევიდა. მაგრამ იერემიამ თავი გაიმართლა: კონტრაბანდის გამოპარების მონდომება სხვას გადააბრალა, ვიღაც იმერელს გივის, რომელიც, იერემიას თქმით, ფოთში უბილეთოდ დატანტალობდა. თვითონ-კი მთავრობისაგან მადლობაც მოუვიდა.

ესმას მოკვლამ ბახვა ფულავა დედამიწასთან გაასწორა. თითქმის ნახევრად ჰკუა-შეშლილი, უსაგნოდ დაიარებოდა ამ სოფლად. ჯერ თუ თავი არ მოეკლა, ეს იმიტომ, რომ სისხლი ჯერ არ აეღო. თუ სამართალი, კანონი არ გასცემდა ჯეროვანს პასუხს ესმას მკვლელსა, თვითონ აპირობდა, თავისით ეგო პასუხი იერემიასათვის... როცა ადამიანი ღრმად გამსჭვალულია რომელისამე ერთის აზრით, მაშინ იგი ადამიანი მთლად დამონავებული ჰყავს ამ აზრსა. ამ მდგომარეობაში ადამიანი სხვა-და-სხვა გარემოებას ან სულ უყურადღებოდ სტოვებს, ანადა ხსნის ყოველისფერს იმ მიმართულებით, ისეთის ფერითა და იერით, რომელიც ეშესაბამება იმ აზრსა, რომლითაც იგი გამსჭვალულია. ასე იყო ბახვაც. უკანასკნელის გამოთხოვების ტირილის დროს საქვეყნოდ აღიარა და გამოაშკარავა თავისი დანარჩენის ცხოვრების საგანი: „მე უნდა მოვკლა შენი მკვლელიო, სთქვა მან ესმას საფლავზე, ვფიცავ შენს ცხედარს, არ გიმტყუნოო“. ქონების არ-დაკარგვა, პირიქით შეძენა მეტისა, ესმას გულიდამ გადაგდება, მეორე ცოლის შერთვა, ან მსგავსი რამე ფიქრადაც არ მოსდიოდა. უნდოდა მას, მხოლოდ იერემია მოეკლა, თუ კანონი გაამართლებდა, მეტი არაფერი. ამიტომ ყოვლისფერზე ხელი აიღო. აღარც ვაჭრობა მისთვის, აღარც სხვა რამ. რაც ჰქონდა შეძენილი, ახლა ისიც ეკარგებოდა. ბახვას ჯერ ბევრი ჰქონდა გაცემული ვექსილებითა და ხელწერილებით. ვალის პატრონები მიხვდნენ ბახვას უბედურობასა და არ აძლევდნენ აღებულს ფულსა. აი ამ დროს ბახვა იძულებული შეიქმნა, დაახლოებოდა ერთს გაიძვერა სოფლის „აბლაკატს“, წუნკალა ჩაფხუტაძეს, რომელმაც იკისრა ვექსილებით თავნისა და სარგებლის გარდახდევინება ბახვას მაგიერ. წუნკალა სულში ჩაუძვრა, „მელისავით შეეპარა“ ბახვას, უნდოდა მისი ნდობა მოეპოვებინა. ბახვაც მიენდო, რადგან მახლობელი სხვა არავინ ჰყავდა ძ ვინც იყვნენ, იმათზედაც გაგულგრილებული იყო. ყველას აჩნევდა, რომ მისი უბედურება არავის არ აწუხებდა. ისინი უფრო მისს მოტყუებას ცდილობდნენ, მის გაგლეჯასა ნდომობდნენ, ვიდრე შველას. ამისი მაგალითი მისი ბიძაშვილი ნესტორა იყო, რომელმაც ბახვას უძრავი ქონება ხელთ იგდო, ისარგებლა რა იმისის ასეთის მდგომარეობითა და უბედურობით.

ბახვა უწუნკალოდ ნაბიჯს აღარა სდგამდა. ვალებიც ბევრი ამოუღო წუნკალამ, თავნიდგან-კი არა, ჯარიმიდგანაც არავის კაპეიკსაც არ აპატიებდა ხოლმე, რადგან აღებულიდამ კაი წილი ეძლეოდა. ბახვას პირველად, ცოტა არ იყოს, ეზარებოდა ასე ულმერთოდ მოპყრობა მოვალეებისა. მაგრამ, როდესაც თავის საკუთარს უბედურობას წარმოიდგენდა, ასე ჰფიქრობდა: ჩემზე უარესად გაჭირვებული, უმართლოდ ბედისაგან დევნული დედა მიწაზე სხვა ვინ იქმნებაო.?! ვის რა დაუშავა ესმამ, ამ უმანკო ანგელოზმაო? ასეთი უბედური, ასეთი ტანჯული თუ არავინ შემიბრალა, ჯავრიც არა მიქვს; სხვისთვის ტყავიმც გაგეძროსო,ეუბნებოდა ბახვა თავისს ვექილს წუნკალას. ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ, მოვალის მიერ ფულის გადახდის დრო რომ დგებოდა, წუნკალას რჩევით, იმალებოდა, რათა ჯარიმაც გადაეხდევინებინა. ამ დროს ბახვამ ღარიბისაგან სმასაც მოუმატა. ბახვას „ღოთი-ჩარჩი“ დაარქვეს.

ბახვა ჯერ კანონის მიერ პასუხის გებას უყურებდა და უცდიდა, თუ რითი გათავდებოდა იერემიას ბრალდების საქმე. გამომძიებელი ნელნელა და კვალ-დაკვალ იკვლევდა ამ საქმეს. სამტრედიის მოვაჭრე საბაია გაპარიაშვილისა და კონდუქტორის ნიკო ბაინდურაძის წყალობით გამომძიებელმა ცხადად ახსნა იერემიას მიერ ესმას მოკვლა. ბახვას მაინც არა ჰქონდა იმედი და სამოსამართლო დაწესებულებაზე ბრაზ-მორეული დაიარებოდა. განსაკუთრებით იმტომ, რომ იერემია, კაცის მკვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** გაზ. „Рус. Вѣд.“-ში სწერია: პარიჟის „დიდს ოპერაში“ აპირობენ ახალის ოპერის წარმოდგენას. ეს ახალი ოპერა, რომელსაც სახელად ეწოდება „თამარ“, დაუწერია ბურგო-დიუკუდრეს. ოპერის შემთხვზე ლი ბ-ნი ბურგო-დიუკიდრე პროფესორია პარიჟის კონსერვატორისა და, ვიტყვით, სხვათა შორის, დიდი მცოდნეა რუსულის მუსიკისა. უკანასკნელს დიდს რეპეტიციაზედ ახალი ოპერა ძალიან მოსწონებიათ; არტისტებს დიდი თანაგრძნობა და პატივის-ცემა გაუწევიათ ოპერის ავტორისათვის.

*** 4 დეკემბერს ბაღის ვიწრო ქუჩაზე, მაიერის სახლის ეზოში, იპოვნეს ცეცხლის ბუღისაგან მკვდარი გვამი ქრივის ბარბარე გრიგოლის. ასულის იაკოვლევისა.

*** ამავე დღეს მოსკოვის ბაღკის ქუჩაზედ იპოვნეს ერთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

---

## სახელდახელოდ

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

გაზ. „მწყემსმა“ მოიწყინა, ისე მოიწყინა, რომ ჩვენი ამდენის ხნის ხმის ამოუღებლობა ჩვენს არ არსებობად ჩასთვალა, გამოაცხადა, დუშიკომ თქვენი ჭირი წაიღოო, და ალაპის გადახდასაც-კი გვიპირობს. ჩვენს ქება-დიდებას ისე მისჩვევია გაზ. „მწყემსი“, რომ უიმისოდ ვეღარ გაუძლია. რა გაეწყობა, ვეცდებით არ მოვაწყინოთ.

„მწყემსმა“ ორსავე თავისს უკანასკნელს ნომერში ორი წერილი უძღვნა „ივერიას“. პირველს წერილს ეწოდება „ივერიის“ ენა-მზეობა“, მთელს შვიდს ფურცელზეა გაპრეღებულ-გახიახებული და გვარ-მოუწერელია; მეორე წერილი თვით ყვირილის კალმოსანს, ანაფორიანს მგოსანს დეკ. დ. ღამბაშიძეს ეკუთვნის და ეწოდება „რედაქციისაგან“. აბა ნესტარი გავუტაროთ ორივეს.

პირველი წერილი გვიმტკიცებს, რომ სამეგრელოის თავად-აზნაურთა ღირსების საძიებელი წესდება, „ივერიის“ მიერ გადმოთარგმნილი, გროშად არა ჰღირს, ბ-ნ ჩიკვაიძის გამოცემული-კი ქუთაისში ერთი ათი ათასად უკეთესიაო. წერილის ავტორი სცდილობს კიდეც ამის დამტკიცებას, ზოგიერთი ადგილი მოჰყავს როგორც ვითომდა „ივერიის“, ისე ბ-ნ ჩიკვაიძის ნათარგმნიდგან და გაკვეთილს გვიკითხავს გრამატიკისას, აზნაურები „ დვორიანებად “ უნდა სწეროთ, წლოვანების მოწმობა—„მეტრიკულ“ მოწმობადაო და სხვ. მიჰყოლია ასე და სადაც გატეხილი ასო უპოვნია ბ-ნ ნიკოლაძის გამოცემაში, სცდილობს ზოგს თავი გამოაბას და ზოგს კუდი.

ჰკითხულობ და გიკვირს, ან გატეხილი ასოები რა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ ეს „გრამატიკოსი“ ამ ცხრა ადლის სიგრძე და შვიდის ადლის სიგანე ოცო-ბოლოს მოჰყოლია და ან, ვსთქვათ, ესეც სამართლიანია, ბ-ნმა ნიკოლაძემ რომ ბათუმში წიგნი გამოსცეს, „ივერიამ“ ტფილისში ჰქრისუფლობა რად უნდა გაუწიოსო, „ივერია“ რა ვაცია განმყვანებლისაო? ჩვენ ბ-ნ ნიკოლაძის მიერ გამოცემული წიგნი არ გვინახავს, „მწყემსის“ ამონაწერები შევუდარეთ ჩვენს თარგმანს და აღმოჩნდა, რომ ეს სულ სხვაა, ის სულ სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი, რომელიც „მწყემსელმა“ გრამატიკოსმა ისე უბოდიშოდ გადაჰლახ-გადასტოპა, ბ-ნ ნიკოლაძის ბრალი, თუნდა ბრალადაც ჩავსთვალოთ, „ივერიას“ მოახვია, ბრალმდებლის კვერთხი ხელთ აღიპყრო და იერემიადა წაგვიკითხა.

„მწყემსის“ გრამატიკოსი სწორედ იმ ბეჩავს ქათამს მოგვაგონებს, რომელსაც კუჭი შიმშილით ეწვის, უნდა აჰკენკოს რამე, დაინახავს კიდეც მარცვალს, მაგრამ რამდენსაც თავს ძირს დაიღებს, იმდენი, თავისის ბედშაობით, სიპს ქვას დაჰკრავს ხოლმე და დაახლის ნისკარტს. გულით უნდათ „ივერიას“ ნაკლი რამ უპოვნონ და უნარი რომ არ შესწევთ, მგლის მაგიერ, სახარებას ცხვარს უკითხავენ, მგლები არ მოიტაცოო. აფუმე გაგონილა და ამ სიდიდე, ამ სისხო, ასე უშველებელი?!. საბრალო „მწყემსი“, ისე ვერ აისხავს დონ-კიხოტისა და სანჩო-პანჩოს აბჯარ-ჩაჩქანს, რომ ქარის წისქვილებს არ დაუწყოს ბრძოლა. ყვირილის „პლასტირის“ უბედურება ის არის, რომ სანადიროდ გამოვა, ჩვიდმეტს ფუთს ტყვია-წამალს დაჰხარჯავს და ერთს ბეღურა ჩიტსაც ვერ მოინადირებს ხოლმე.

გრამატიკოსი თავს იფარავს, ტუუილს ბრალსა სდებს „ივერიას“, დეკ. ღამბაშიძის ანაფორასა ჰფიცავს, რომ „ივერიას“ ცუდადა აქვს ნათარგმნიო, მაგრამ თუმცა იმისი ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს. ამ ბოლოს ვინა სჩივის, საბრალო გრამატიკოსს თავისის თავის მიმალვაც-კი ისე ვერ მოუხერხებია, რომ კუდი გარედ არ დარჩენიყო. გნებავთ ფეხი დავადგათ კუდზედ, ინებეთ.

ეს მიუდგომელი კრიტიკოს-გრამატიკოსი, რაკი ნათარგმნის სიავ-კარგეს არჩევს, რასაკვირველია, არც ერთს უნდა გაუწიოს ნათლიმამობა და არც მეორეს. აბა გადაშალეთ გაზ. „მწყემსის“ მე-19 გვერდი (№ 20). ხოტბოს ასხამს რა ბ-ნ ჩიკვაიძის ჩვენს გაზეთში ბ-ნ ჯილბერტის მიერ უკვე სამართლიანად დაფასებულს გამოცემას, ერთგან მოჰყავს ამ წიგნიდგან თარგმნის ნიმუში და თან დასძენს:

„...ნამსახურობითი სიები და სარევიზიო მინაწერები“ (კარექტურის ნაცთომია, უნდა იყოს ანაწერები, ნუსხები).

ეს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ისეთი უშველებელი კუდია, გარედ დარჩენილი და სამალავში ვერ შეტანილი, რომ ყველას ადვილად მიახვედრებს, რა პირუთვნელობასა და მიუდგომელობასაც გასწევს ორის თარგმანის დაფასებაში ბ-ნი უსახელო კრიტიკოს-გრამატიკოს-კორექტორი! უბრალოდ რომ დრო არ დავკარგოთ ამ ბ-ნ გრამატიკოსისთანა უბოდიშო ადამიანებთან, ბ-ნ ჩიკვაიძის კორექტორს გავახსენებთ მხოლოდ, რომ თავის ქება პანტის ჩირადაც არა ჰღირს, და ვდუმებთ.

მეორე წერილი, როგორც ვთქვით, თვით დეკ. დ. ღამბაშიძეს კალამს ეკუთვნის. დეკ. დ. ღამბაშიძე წუწუნებს, რომ ცხრა წელიწადი შესრულდა და მეათეში გადადგა, რაც ჩვენი გაზეთი „პლასტირობსო“. მძიმე ტვირთი გვაწვა კისრად, მაგრამ წრეულს ეს ტვირთი ერთიორად სამძიმო აღმოჩნდა, რადგან ცრუ მოწმენი და წინააღმდეგნი აღმოჩნდნენო.

„*Нов. Обоз.*“-ში აღმოჩნდა ვინმე ილია ხონელი და „ივერიაში“ ვინმე სომეხი დუშიკო. ერთი ამტკიცებდა, რომ თავისს ოფიციალურ ნაწილში „მწყემსი“ სინოდის უქაზებს (წმიდა ქართული სიტყვა გახლავთ!) ბლომად არ ბეჭდავს, სემინარიაზე (ბანზე, თახჩაზე...) არაფერს ცნობას არ გვატყობინებს; პირველი ადგილი ამ გაზეთში თვით რედაქტორის ქადაგებას უკავიაო. „ივერიაში“ სომეხმა (?) დუშიკომ, რომელიც რედაქტორის მაგიერად იგდებდა თავს (??) და „ივერია“ თავზედ ჰქონდა წამოცმული (?), განიმეორა ესევები ქართულად და დასძინა: მე მართლ-მადიდებელ აღმადგინებელი საზოგადოების მოქმედების შეტყობა მწყურიან და „მწყემსში“ არაფერი არ იბეჭდება ამ საგანზედო და ამიტომ ეჩმიაძინის პატრიარქს სთხოვდა შეჩვენება გამოეცხადებინა გაზეთ „მწყემსი“-სთვის...

შემდეგ განაგრძობს:

მალე შევიტყვეთ მიზანი და მიმართულება ამ ორ ცრუ-მორწმუნეთა. ერთს თურმე სახეში ჰქონდა ღირსება ახდილი თავის მამის დაფარვა და მეორეს ამ ახალი მომავალი გაზეთის ნასინსვლით სარგებლობა. ორივენი ეწიენ თავის საწადელს. უღირსი ღირსეულად რჩება და სომეხი ქართველს ართმევს ლუკმას!..

ამ გოდებას რომ ათავებს, ორივეს შეცოდებას მოგვიტევებს და თავის მკითხველებს ამ ახალს, „მწყემსის“ სიცრუის თორნეში გამომცხვარს, ამბავს აცნობებს:

კმარა მათთვის დასასჯელად ისიც, რომ იგინი გააძიეს ხსენებული გაზეთების რედაქციებიდამ და მათ ცრუ მოწმობას ადგილი აღარ აქვს ამ ხსენებულს (საბრალო „ხსენებულს“ სწორედ დედის ხსენი აქვს ამორთმეული, იმდენჯერ იმეორებს მ. ღამბაშიძე) გაზეთებში (იხ. გაზ. „მწყემსი“, № 21).

აბა ჩაავლეთ ამ ამონაწერებს მუშტრის თვალი და დარწმუნდებით, რომ რამდენიც სიტყვაა, ორი იმდენი ტყუილი და სიცრუეა. ჯერ ერთი, ჩვენ არასოდეს არ გვიქია მეორე სასულიერო გაზეთი, ხოლო რასაც ვუკიჟინებდით „პლასტირს“, იმისი სამართლიანობა თუ „ცრუ მო-

---

ლი, იმისთანა საზოგადოებაში ტრიალებდა, რომლის წარმომადგენელთაც უნდა განესამართლებინათ იგი, როგორც კაცის მკვლელი... ბახვა სამზადისში იყო: თუ გაამართლებენ იერემიას, სხვაფრივ ვიძიებ სისხლსაო.

დავტოვოთ ახლა ჯერ-ჯერობით ბახვა ქუთაისის ერთის იქაურის დუქნის უკანა ოთახში, მწვირიანს მუთაქაზე მიძინებული, წუნკალასთან ერთად, და ჩვენ ისევ იერემიას დავუბრუნდეთ.

იერემიამ, მოგეხსენებათ, ფოთში ნახა ესმა და მოეწონა. მაგრამ ესმამ მისს სიყვარულს პასუხი არ აგო და ბახვას გაჰყვა ცოლად. იერემიამ, როგორც გეხსომებათ, განიზრახა, ბახვასათვის წაერთმია და მოეტაცნა ესმა. როცა ეგ საწადელი ვერ აღისრულა, მოჰკლა ქალი. ამას შემდეგ თავისი ამხანაგები გივი და ერთი კიდევ ვიღაც სხვა დააგდო თავისს მეგობრებთან გურიაში, ხოლო თვითონ „ქალაქს“ ამოჰყო თავი. აქ ერთს იმერელ მედუქნის ოთახში კარგად გამოიძინა, მერე ადგა და წავიდა თავის ნათესავ ქალ ვალიდასთან. ამ დროს მთელის ტფილისის დიდ-კაცობის ყურადღება ვალიდაზე იყო მიქცეული.

ვალიდა იყო იმერელის თავადიშვილის ქალი და ქუთაისში მიეღო განათლება. მაშინ განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ გარეგანს აღზრდას. ქუთაისის გუბერნატორის სალონში, სხვათა შორის, დაიარებოდნენ წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსის კლასის შეგირდი ქალები. ამათში ერია ვალიდაც. ვალიდა ამ სალონის უბრწყინვალესი ვარსკვლავი შეიქმნა. ერთხელ გუბერნატორს ეწვია ქალაქიდგან ერთი დამსახურებული და მდიდარი გენერალი. ამ გენერალმა იშვილა ვალიდა და თან წაიყვანა. გენერლის სახლში ბევრი ტფილისის დიდ-კაცობა გაიცნო ვალიდამ მისვლისათანავე. შემდეგ მალე მთავარ-მართებლის სასახლეში იყო დანიშნული ბალი. მთელის ტფილისის დიდ-კაცობა იქ იყო იმ ღამეს მიპატიჟებული. აქ მოვიდა დარბაისელი გენერალი თავისის მეუღლითურთ და მოიყვანა თავისი შვილობილი ვალიდაც. ვალიდა მეტად მოეწონა მთავარ-მართებელსა და სთხოვა, კადრილი ეთამაშნა მასთან. იმ ღამესვე ვალიდამ გაიცნო მთავარ-მართებლის მეუღლის მონათესავე პოლკოვნიკი ლებოვი, რომელიც მეტად მოიხიბლა ვალიდას სილამაზითა. პირველ გაცნობის შემდეგ ლებოვმა მოუხშირა სიარულს ვალიდას მამობილ დარბაისელ გენერლის სახლში და სიყვარულიც გამოუცხადა ვალიდას. ვალიდაც-კი იყო ამ ქარებიანის პოლკოვნიკით გატაცებული. ნამდვილ მოსწონდა ვალიდას ლებოვი, თუ იმისის წყალობით უნდოდა, მაღალს საზოგადოებაში შესულიყო და მთავარ-მართებელთან დაახლოვებული გამხდარიყო?—არ ვიცით... ხოლო ლებოვი წუთიერ სიამოვნებისათვის დაეძებდა ვალიდას.

„როგორც ახალს მოწყვეტილს ყვავილს დიდხანს არ შერჩება სინორჩე და სურნელება, ისე არც მისს გატაცებას ჰქონდა დღეგრძელობა“!.—„გარდიც კარგიაო, სანამ ნორჩია, სურნელოვანი და ფერი არ წასვლიაო. როცა დაჭკნება, მერე ახალი კუკური უნდა ქმნოსო“, ამბობდა ხოლმე ხშირად პოლკოვნიკი ლებოვი.

როცა ასეთს დამოკიდებულებაში არიან ურთიერთ-შორის ვალიდა და პოლკოვნიკი ლებოვი, ვალიდასთან სწორედ ამ დროს მოდის იერემია. ვალიდამ გააცნო იერემია ლებოვს და სთხოვა უკანასკნელს, სამსახურში შეეყვანა სადმე. თვითონ პოლკოვნიკი ლებოვი ცხენოსნის ჯარის უფროსი იყო და მან, ვალიდას პატივ-საცემლად, დიდის კმაყოფილებით შეიყვანა იერემია სამხედრო სამსახურში და ვახმისტრად ჩარიცხა.

წუთიერ ვნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად, რასაკვირველია, პოლკოვ. ლებოვს არ დაჰნებდა ვილიდა. ის-კი უნდოდა, რომ პოლკოვნიკს იგი ცოლად შეერთო. ვალიდამ დიაღ იცოდა წარსული ყოფაქცევა და უზნეობა ლებოვისა, მაგრამ „ძველს გაუზნევებულს არშიყს უმანკო გრძნობით მოვაქცევო“, ჰფიქრობდა ვალიდა.

„ეს-კი დაავიწყდა გატაცებულს ქალს, რომ მისი სიყვარულისა და ბედნიერების კოშკი ქვიშაზე იყო აგებული და ფეხი მაგრა ნიადაგზედ არ ედგა. ოღონდ-კი ლებოვს ვალიდას შეერთო საბურთაოდ ჩაეგდო და სულ ერთი იყო მისთვის, გინდ ქორწინების კოშკი ეთამაშნა, გინდ დაუქორწინებლად აღესრულებინა თავის გულის წადილი“ (79 გ. II).

ასე იყო თუ ისე, ვალიდა თანხმდება, წაჰყვეს ცოლად პოლკ. ლებოვს. პოლკოვნიკიც თავის დიდებულ მონათესავეთა რჩევით ყაბულს არის და წინადადებას აძლევს ვალიდას მეუღლეობისას. გაჩაღდა ქორწილი, რომელსაც დაესწრო მთელი უმაღლესი წოდება ტფილისისა. იერემია მეტად შვენოდა ამ ქორწილში თავისის ახალის ბჭყვრიალა ეპოლეტებითა.

აქ პატარა ხანს შევისვენოთ. მივცეთ თავისუფლება ახალს ჯვარდაწერილებს და გავგზავნოთ ისინი, ე. ი. ნეკრესის ქარებით შეპყრობილი პოლკოვნიკი ლებოვი და მშვენიერებათა ღმერთა ვილიდა საზღვარს გარედ ცოლქმრობის პირველის სიტკბოებით დასატკბობად. მანამ ჩვენ ერთს წუთს იერემიას მივაქციოთ ყურადღება.

იერემია ამ დროს ასისთავად იყო, თანაც პოლკის კვარტირმეისტრობაც ჩაჰბარდა. ამის გამო კაი ფულებშიაც დაიწყო ხელის რევა ® მეტად გაერთო ტფილისის საზოგადოებაში: დღისით ვიზიტებს უნდებოდა, ღამით ერთს ვაჭართა კლუბში ატარებდა დროს. აქ ერთის სოვდაგრის ქალი გაიტაცა იერემიამ. ამიტომ იერემიამ ამ ქალის მამის სახლში მოუხშირა სიარულს და იქ ისე იქცეოდა, თითქოს სასიძო ყოფილიყოს. ქალი და დედა მისი თანახმანი იყვნენ, მაგრამ სოვდაგარი ყოყმანობდა და პასუხს არ იძლეოდა, ბოლოს ისიც დაიყოლიეს... პოლკოვნიკს ლებოვს, როგორც მოსალოდნელიც იყო მისის წარსულის ყოფაქცევის მიხედვით, მალე მობეზრებოდა ვალიდა. მალე, ლებოვისა და ვალიდას საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შემდეგ, ტფილისს ჩამოვიდა არტისტების დასი. ამათ შორის პრიმადონა მეტად ლამაზი და ნიჭიერი იყო. ახლა ეს შეიქმნა ლებოვის სათაყვანებელი ღმერთა. ვალიდას თან-და-თან გაუგულგრილდა, ასე რომ ბოლოს მათ შორის შესწყდა და სრულიად მოისპო ყოველგვარი კავშირი ცოლ-ქმრობისა. ვალიდამ ეს ამბავი შეატყობინა თავისს მამობილსა და დედობილს. ამათ აინუნშიაც არ ჩააგდეს ვალიდას მწუხარება:

„შვილო, განა მარტო შენ ჰკა მაგნაირი ამბავი? ცოლ-ქმრობა და ნამდვილი სიყვარული შორი-შორს არის ერთმანეთზე. ქალისთვის ქმარი სახელია და ზნეობის ფარი. ამ მდგომარეობაში იგი მეტია ბედნიერი, რომ სრულებით თავისუფალია; იგი საზოგადოების გულამაყი წევრია, მის ღირსებას მქირდავი თვალი და ბოროტი ენა ვერას დააკლებს. მას აქვს უზრუნველი მატერიალური მდგომარეობა და თვითონ-კი, როგორც მას ესიამოვნება, ისე უნდა მორთოს თავისი ცხოვრება. კარგიცა და ავიცა, პატივისცემა და უპატივისცემულობა მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. თუ ქმარი არ შეიშნოვს უმანკო გულის ერთგულებას, ვაი მის გულებას! თავის თავს დააბრალოს, რაც შეემთხვევა. შენ რას დაემებ. შენ, შვილო, მაგისთვის სრულებითაც ნუ შეიწუხებ თავს. შენ ხარ გვარიშვილობით და წარჩინებული დამოკიდებულობით ლებოვის მეუღლე, საზოგადოებისაგან დაფასებული და მთავარმართებლის კარზე მიღებული. ამ მდგომარეობაში რომ შენისთანა მშვენიერებათა ღმერთამ ბედნიერათ ვერ მოაწყოს ცხოვრება, სწორეთ ჩასაქოლავია. შენ გაქვს ლებოვის ცოლის სახელი, ეს კმარა შენის პატივის მოყვარეობისათვის; დანარჩენი სულ

წმობა“ მკითხველებმაც აშკარად უწყიან და იმის შესახებ ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია. მეორე, ეს წერილიც ამტკიცებს, როგორაც ვართ გაძევებულნი, და ვერც ეს ტყუილით მოზელილი და სიცრუის თორნეში გამომცხვარი სიყალბის ქადა-ნაზუქი გაუსაღდა ბ-ნს ყვირილელს ანაფორისანს. მესამე,...

მაგრამ კმარა... დეკ. დ. ღამბაშიძეს რომ ვერა მოუხერხებია-რა, სომხობას გვიკიჟინებს, თუმცა არ ვიცით, ეს რომელლა კარაბადინიდგან ამოსწერა. რაც შეეხება ეჩმიაძინის პატრიარხს, ვარწმუნებთ დეკ. ღამბაშიძეს, რომ ეჩმიაძინის პატრიარხიც-კი სირცხვილით წამოწითლდება, როდესაც შეიტყობს, რომ ყვირილაში ერთი მოძღვარი ყოფილა, რომელსაც მეცხრე მცნება დავიწყებიაო. მოვაგონებთ ამ მცნებას, იგი ჰღაღადებს: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა“. ჩვენ რომ „მწყემსისებური“ ყბად აღებული კიცხვა გვსურდეს, მ. ღამბაშიძეს გამოჩენილის მეცნიერის ბეკონის სიტყვებს გავახსენებდით: „სიცრუე ნიშანია დაბალის სულისა, უღონო ჰკუისა და ბიწიერის ხასიათისაო“, მაგრამ ამას არ ვაკადრებთ, რადგან ლანძღვა-გინება მტყუანის საბუთია, ვეტყვით მხოლოდ, რომ „გისტვინევდით თქვენ და არა ჰროკევდით, გიგოდებდით და არა იტყებდით“.

დასასრულ ერთი თხოვნაც. ამ წერილს შემდეგ იმედია ბ-ნი ღამბაშიძე გამოაცხადებს თავისს გაზეთში: „ჩვენდა სამწუხაროდ, ალაპი მოგვიცდა. როგორც შევიტყეთ, დუშიკო ისევე დუშიკოობს და არავის და არსად არ განუძევებია“. ამ სიტყვებს შეუძლიან თავისებური ლოცვა-კურთხევაც მოაყაროს მარილ-პილპილად, მხოლოდ ამის გამოცხადებას-კი უმორჩილესადა ვთხოვთ.

დუშიკო

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატაში ფრეისინეს მიერ წარდგენილის კანონ-პროექტის შინაარსი შემდეგია: თუ ვინიცობაა რაიმე უთანხმოება მოხდა მწარმოებელთა და მუშათა შორის, უკანასკნელთ ეძლევათ უფლება, არზა მიართვან მომრიგებელს მოსამართლეს და სთხოვონ ამ უთანხმოების განსამართლება. მომრიგებელი მოსამართლე მოვალეა, სამის დღის განმავლობაში მიიწვიოს სასამართლოში მოპასუხე და განიხილოს ეს საქმე თუ ვინიცობაა მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლოში, მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს საყოველთაოდ, რომ ესა და ეს მრეწველი არ გამოცხადდაო და მიტომ თითონ საზოგადოებამ გაასამართლოსო. თუ ვინიცობაა მოპასუხე დასთანხმა მომრიგებელს მოსამართლესთან საქმის განხილვას, სასამართლოში ჰგზავნის თავისს დელეგატებს. მომჩივარისა და მოპასუხეს დელეგატები თავისს თხოვნას და მოსაზრებას უცხადებენ მოსამართლეს, რომელიც სცდილობს მოარიგოს როგორმე ერთმანეთს. თუ მუშების მხრივ ამორჩეულნი და მრეწველთაგან გამოგზავნილნი დელეგატები მორიგდნენ როგორმე, მოსამართლე საყოველთაოდ აცხადებს მათს მორიგებას და, თუ მორიგება არ მოხდა, მაშინ ამ დელეგატებს ეძლევათ უფლება, აირჩიონ მედიატორები და ამათ მიანდონ საქმის განხილვა და განსამართლება. მედიატორების გადაწყვეტილება სავალდებულოა ორისავე მხრისთვის, მრეწველთათვისაცა და მუშებისთვისაც. კანონ-პროექტი უფლებას აძლევს ორსავე მხარეს მუდმივის სამედიატორო კომიტეტის დაარსებისას. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ორისავე მხრის ნებაყოფლობა. მომრიგებელს მოსამართლეს და სამედიატორო კომიტეტის გარდაწყვეტილება იმდენად სავალდებულო არ არის მრეწველთა და მუშებისთვის; იმის ასრულება უფრო სინიდისსა და პატიოსნებაზედ არის შეგდებული, მაგრამ ასე თუ ისე ამ გარდაწყვეტილებას ცოტა მაინც მნიშვნელობა აქვს მუშებისთვის. მომრიგებელს მოსამართლეს და სამედიატორო კომიტეტის გარდაწყვეტილება მუდამ სახეში უნდა იქონიოს ხოლმე სასამართლომ და ამ გარდაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ შემთხვევაში, როცა რაიმე კერძო უთანხმოება მოხდება. ამ უკანასკნელს შემთხვევაში-კი, როგორც მომრიგებელ მოსამართლესი, აგრეთვე სამედიატორო კომიტეტის გარდაწყვეტილებაც აუცილებლად სავალდებულოა მოდავეთათვის.

საფრანგეთში, დიდი ხანია, არსებობს ერთი დაწესებულება, რომელიც ბევრითა ჰგავს ამ ახალის კანონ-პროექტის ძალით დასაწესებულს მომრიგებელს სასამართლოს: ეს დაწესებულებაა „conseils de prud'hommes“. ანუ „საქმის მცოდნე კაცთა საბჭო“, ასეთი საბჭო პირველად დაწესდა 18-ს მარტს 1806 წელს ლიონში მომხდარ მუშათა კონგრესის დეკრეტის ძალით „იმ უთანხმოების განსახილველად, რომელიც მრეწველთა და მუშათა შორის მოხდება ხოლმე“. ეს საქმის მცოდნე კაცთა საბჭო იმითი განსხვავდება ახალ კანონ-პროექტის ძალით დასაარსებელ მომრიგებელ სასამართლოებისაგან, რომ ამ საბჭოს მრეწველთა და მუშებს შორის უთანხმოების მხოლოდ განსამართლება ჰქონდა მინდობილი და სხვა არაფერი. საბჭოს ნება არა ჰქონდა პირობათა შეცვლისა ქარხნის პატრონებსა და მუშებს შორის. ახალ კანონ-პროექტის ძალით დასაარსებელს მომრიგებელს სასამართლოებს და სამედიატორო კომიტეტებს-კი ის უფლებაც მიეცემათ, რომ ეს პირობებიც განიხილონ და გამოსცვალონ კიდეც.

ამ გვარ სასამართლოების დაარსების საქმეს ბოლოს დროს, საფრანგეთს გარდა, სხვა სახელმწიფოებმაც მიაქციეს ყურადღება. ბელგიის მეფის მიერ დანიშნულმა კომისიამ შეიმუშავა ამ გვარივე კანონ-პროექტი. ამ გვარივე დაწესებულებანი დაარსდა ამერიკის შეერთებულს შტატებში 1886 წელსა და ინგლისშიაც 1872 წელს. ამ გვარივე კანონი გამოსცა გერმანიის იმპერატორმაც 29 ივლისს 1890 წელს. ყველა ამ სახელმწიფოში მომრიგებელ სასამართლოების საქმის წარმოება აშკარად ამტკიცებს, რომ ამ სასამართლოებს თითქმის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს და არც ექმნება მუშათა გაჭირვებულის მდგომარეობის განკარგებასა და სამუშაო ფასის მომატებისათვის. ამ საქმეშიაც უპირველესიმნიშვნელობა აქვს ფერდინანდ ლასსალის ეგრედ წოდებულს „რკინის კანონს“: თუ ვაჭრობის საქმე ისეა, რომ მოთხოვნილება ნაკლებია გასასყიდად გამოტანილს ნაწარმოებზედ, მაშინ მომრიგებელი სასამართლო ვერას უშველის მუშებს და ვერ მოუმატებს მუშებს სამუშაო ფასს, თუნდა ეს ფასი მართლაც და მცირე და ნაკლები იყოს მუშებისთვის. იმ შემთხვევაში-კი, თუ მოთხოვნილება მეტია გასასყიდს ნაწარმოებზედ, მაშინ-კი, მართალია, მომრიგებელს სასამართლოებს შეუძლიანთ მუშების სამუშაო ფასს უფრო მალე მოუმატონ, ვიდრე ეს თავის თავად მოხდებოდეს. ამ გვარად, ჩვენის ფიქრით, საფრანგეთის ახალის კანონ-პროექტით დასაარსებელს მომრიგებელს სასამართლოებს ისეთივე მნიშვნელობა ექნება მუშების გაჭირვებულ მდგომარეობისათვის, როგორც ადამიანის ჰრილობისთვის იმ გვარს მალამოს, რომელიც მხოლოდ ჰრილობის ტკივილს ანელებს და სრულიად მორჩენა-კი არ შეუძლიან.

## სასამართლოს მატიანე

(არქიმანდრიტ ევგენიოზის მოკვლა თელავში).

(შემდეგი. იხ. „ივერია“ 259).

ივანე არუთინოვი. მეც პატ, ებიტაშვილის სატუსაღოში ყოფნის დროს იმავე საპატიმროში ვიყავი დაპატიმრებული. ებიტაშვილი სულ სჩიოდა, უფროსი პროკურორი რომ იყო თელავში, სრული სიმართლე ვერ ვუთხარი, მაშინ როდესაც არხ. ნიფონი და ქრისტოდულო არაფერში არ არიან დამნაშავენიო. მე მინდოდა, სიმართლე, მელიარებინა, მაგრამ გამომძიებელმა მითხრა, რომ შენი საქმე კარგად მიდისო და ამისათვის პროკუროსს არაფერი უთხარიო. ბრალდ. ებიტაშვილმა სთქვა, რო არასდროს ზემოხსენებულ მოწმ. მაგვარი ლაპარაკი არა მქონიაო.

---

ყოვლისფერი წვრილმანი საქმეა. ამას შემდეგ თვით შენზეა დამოკიდებული შენი ბედნიერება. როგორც გესიამოვნოს, ისე მოაწყე შენი ცხოვრება. ღმერთმა ნაკრესის ქარებით შეჰყრობილმა ბერმა კაცმა, რაც უნდა, ისა ქნას?.. შენ რა?.. შენ შენთვის იზრუნე, ეცადე შენს სიამოვნებას, ოღონდ ხერხიანად მოიქეცი, რომ საზოგადოების თვალში შენს გარეგანს ყოფაქცევას ჩირქი არავინ მოსცხოს, ჩვენს შინაურს მოქმედებასთან და ჩვენ საწოლთან ვის რა საქმე აქვს?..“

ამ გვარ დარიგების შემდეგ „ვალიდამ ამოირეცხა გული სიყვარულზე“ „გააგდო ხელიდან ზნეობის ფარი“ ლებოვსავით.

„იმანაც წახსნა აღვირი თავის ზნეობით მოვალეობას და დაიწყო თავისუფალი ცხოვრება, მაგრამ გარეცხვის მაგიერ კიდევ უფრო მოწონებული შეიქნა ტფილისის საზოგადოებაში. ტრფიალებაში ის ეძებდა რაიმე ნივთიერს სარგებლობას. ვინც უნდა ყოფილიყო მისი მოტრფიალე, ეგ სულ ერთი იყო მისთვის, ოღონდ მისი ნება და დავალება უნდა აესრულებინა... ვალიდას ამ დროს არავინ არა ჰყავდა ისეთი შინაური მეგობარი, როგორიც იყო მისთვის იერემია. იერემია იყო მისი მესაიდუმლე... ვალიდას სურდა, იერემიასთვის შეერთო ცოლად სოვდაგრის ქალი და მატერიალურის მხრით უზრუნველი გაეხადა“.

მართლაც, ერთს დანიშნულს ღამეს სოვდაგარ აეეტიქას სახლში დიდი მზადება და დიდი ფაცი-ფუცი იყო. აეეტიქას ქალიშვილი კატო ძვირფასის ტანთსაცმელით და სამკაულით მორთულიყო, სტოლიც გაშლილი იყო. ამ დროს მოისმა ეტლის რახრახი. დარბაზში შემოვიდნენ ვალიდა და იერემია. ვალიდა მოელაპარაკა კატოს დედ-მამას, საქმე გაარიგა და ბეჭედი შეუცვალა კატოსა და იერემიას. კატოს დედის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ვალიდამ ახალ დანიშნულების სადღეგრძელო დალია...

ამ საერთო მხიარულების დროს (დახეთ ქვეყნის სიმუხთლეს!) დარბაზში შემოვიდა პოლიციის ბოქაული, რომელმაც, ბოდიშის მოხდის შემდეგ, სთქვა: „მე ვარ გამოგზავნილი იერემიას შესაპყრობად, რომელსაც ჰბრალდება ბახვა ფულავას ცოლის მოკვლაო“.

კატოს გულს შემოეყარა. მისმა დედამ კივილი მორთო, ვალიდაც გაფითრდა. იერემია თითქოს გაშეშდა, თმები აებურძგა, შიშმა აიტანა: ბოლოს, როგორც იყო, ვალიდა გაგამოერკვა და დაამშვიდა საზოგადოება: „აქ რამე მტრობა უნდა იყოს, მაგრამ მე თავს დავდებ ჩემის ნათესავის გულისთვისო“.

სთქვა თუ არა ეს სიტყვები, გაიყვანა იერემია და გავიდა. იერემია უკან გაჰყვა ვალიდას, მაგრამ ამ დროს არ იცოდა, ვის მიჰყავდა, ან სად და რისთვის?

იერემიას საქმის დაცვა იკისრა ნაფიცმა ვექილმა სივილამ, რომელიც სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტის სკამზე, თავ-განწირულს სამსახურს ჰპირდებოდა სამშობლოს და დიდის აღტაცებით ლაპარაკობდა ჩაგრულთა დახმარების თაობაზე. დიპლომის მიღების შემდეგ, გამოვიდა თუ არა ცხოვრებაში, თავის უნებურად შეიქმნა მჩაგვრელთა და სამართლის დამარღვეველთა დამხმარებელი. სივილას ჩააბარა იერემია ვალიდამ და თანაც გააცნო მაღალის სასამართლო დაწესებულის მოხელენი... საქმის გარჩევის დღეს პროკურორმა სიტყვა წარმოსთქვა და ისე ცოცხლად გამოჰხატა იერემიასაგან ესმას მოკვლა, რომ მთელი მაყურებელი საზოგადოება შეარყია.

შემდეგ ილაპარაკა ნაფიცმა ვექილმა სივილამ; სივილა სცდილობდა, გაემართლებინა იერემია და დადამნაშავედ გამოეყვამა მარტო გივი. უკანასკნელ თვით ბახვამ, როგორც ვნებულმა, ისეთი უბრალო, მაგრამ ნამდვილი, ბუნებური და გრძნობით სავსე სიტყვა სთქვა, რომ მთელი საზოგადოება აატირა. იერემიამაც ევრ გაუძლო მისს ცრემლით წარმოთქმულს მწარე სიტყვებსა და ხელები სახეზედ მიიფარა. იერემიას ახადეს ღირსება და 12 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტეს.

სივილამ აპელაცია შეიტანა, კანონი ფორმალურის მხრით დარღვეულიაო... იერემიას კეთილის მყოფელს ვალიდასაც არა ეძინა, სცდილობდა, იერემია გამართლებულიყო როგორმე. ვალიდას ერთი თაყვანისმცემელთაგანი ამ დროებით გახლდათ ტფილისის სასამართლოს ბობოლა მოხელე, „რომელსაც სხვების აღვირიც ხელში ეჭირა. ეს ის მოსამართლე იყო, რომელთანაც გადავიდა იერემიას საქმე. ვალიდამ დაავალა ამ უმაღლესის სასამართ. დაწესებულების უფროსს მოხელეს იერემიას გამართლება, სამაგიეროდ ვალიდა თავის გულ-მკერდის გაფურჩქვნინებას დაჰპირდა მოხელესა. გავამართლებო, გადაწყვეტით უთხრა უკანასკნელმა, „სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უსამართლოდ დაისაჯოსო“. ვალიდამ დაუმატა: „მაშ სანამდის მის გამართლებას არ მომიტანთ, ლოცვითა და მარხულობით უნდა შეინახოთ თავი“.

„მეტი რა ღონეა (მიუგო მოხელემ); მაგრამ მით უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის მოთმინებას შემდეგ გახსნილებაო, თან დაუჭირა ხელები ვალიდას, მიიწოლა მკერდზე და გულისთქმით გამოეთხოვა ამ სიტყვებით:

„ნახვამდის, ჩემო ციურო სიტკბოებავ!“...

ბახვა სულ იმას ფიქრობდა, რომ კანონის სიმკაცრე თავს იჩენს უფრო ღარიბთა, გლახაკთა, ერთის სიტყვით, უბრალო მომაკვდავთა გასამართლებაშიო, — რომ დიდკაცობისათვის კანონი არა არის დაწერილიო. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი შემწე და მომხმარე ჰყავდა იერემიას ტფილისში. ამიტომ ოლქის სამსაჯულოს განაჩენის დამტკიცების იმედი სრულიად არ ჰქონდა. ესვევე გარემოება იყო მიზეზი, რომ ბახვა ნიადაგ ამას გაიძახოდა: „ფონი ჯერ კიდევ გასავალს არისო“.

როცა ბახვამ დაინახა, რომ სამართლით იერემია მართლდებოდა, თავის აზრის მისაღწევად სულ სხვა ღონეს მიჰმართა. დაუახლოვდა სიმონა ციმბირელს, რომელსაც სამასიოდე თუმანს დაჰპირდა იმისთვის, რომ იერემია მოეკლა, ან მოეკვლევინებია. სიმონა ციმბირელმა იერემიას მოსამსახურე მოისყიდა. მოსამსახურემ დანიშნულს ღამეს იერემიას სადგომის ფანჯარა ღია დასტოვა. ამ ფანჯარიდამ შევიდნენ ბახვა და სიმონა ციმბირელი იერემიას საწოლს ოთახში და იქ ხანჯლით სიცოცხლე მოუსპეს. სიმონა ციმბირელი გაჰქრა უცბად. ბახვა-კი იქ გაჩერებული და დოინჯებ შემოყრილი ელოდდა პოლიციელებსა.

„ეს რა გიქნია, შე ლოთო ჩარჩო, გულმოსულობით შესძახა პოლიციის მეთვალყურემ.

— სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღირსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემის ცოლის კვმას სამაგიერო. აი, ახლა გავცოცხლდი. ეხლა გავხდი ისევ უწინდელი ბახვა. ამიერიდგან სადაც უნდა ვიყო, ყოველგან ბახვა მერქმევა და ქუდი თავზე მეხურება. მაღნების მუშაობაში გამგზავნიან? იქაც კაცი ვიქნები.

პოლიციის მეთვალყურე დარწმუნდა, რომ სწორედ გიჟიაო. უბრძანა დარაჯებს, შეჰკარით და წამოიყვანეთო.

მე გასლავარ ბახვა ფულავა! გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ მცოდნია ვაჟკაცურად სისხლის აღება, ყვიროდა იგი, როცა თოკებს კონდახით სცემდნენ და ისე მიათრევდნენ პოლიციაში“.

ჩვენ ცოტა სიტყვა გაგრძელებით გიამბეთ რომანის შინაარსი, მაგრამ, იმედია, მაგდენად არ გვისაყვედურებთ, ამის გულისთვის, თუ გაიხსენებთ, რომ ლედანი შეიცავს თითქმის სრულს სამასს გვერდს.

(შემდეგი იქნება)

ვაშის აშკარაძე. მე ზედამხედველი ვარ საპატიმროსი. ერთხელ ციხის ეზოში მოვიდა ებიტაშვილის დედა და მთხოვა, მეთქვა იმის შვილისათვის, რომ, თუ არხ. ნიფონი და ქრისტუ-დული არხ. ევგენიოზის მკვლელობაში დამნაშავენი არ არიან, ნუ ჩაიტანდა ტყუილად საქმეში. მე ეს სიტყვები ებიტაშვილს გადავეცი და იმან შემდეგი მიპასუხა: „ღმერთმა ნუ დაულიოს ჩემი ცოდო და მაგათი იმას, ვისიც ბრალიაო“. ებიტაშვილი ცალკე ოთახში დაჭერილი სამი კვირა იყო; ცალკე ოთახში მყოფი ტუსაღი მოკლებულია სხვა პატიმრების შეხვედრასა და ლაპარაკს.

ზაქარია წყალაძე. მე საპატიმროს მცველი ვარ. ერთხელ ებიტაშვილს ვკითხე, დამნაშავენი არიან არხ. ნიფონი და ქრისტოდულიო ევგენიოზის მოკვლაში თუ არა-მეთქი. იმან მომიგო: „ღმერთმა ნუ დაულიოს ჩემი ცოდო და მაგათიც იმას, ვისიც ბრალიაო“.

მოწმეთა ჩვენება გათავდა.

სხდომა გათავდა ღამის 12 საათზედ.

სხდომა 21 ნოემბერს.

მსაჯულნი შეუდგნენ საქმის გარჩევას 11 საათზე. საზოგადოება გუშინდელზედ უმეტესია.

ბრალ. ამხანაგის და ვექილის თხოვნით იყო წაკითხული რამდენიმე ოქმი არხ. ევგონიოზის და ნიფონის სახლების გასინჯვისა და აგრეთვე სხვა ოქმები და ქაღალდები, რომელთა შორის საყურადღებოა ორის წერილის ასლი არხ. ნიფონისა ფილოფეის მონასტერში მინაწერი; ეს წერილები, როგორც საბრალდ. ოქმიდამ სჩანს, უპოვნია გამომძიებელს არხ. ნიფონის ნივთებში.

1 წერილი არის დაწერილი 14 მაისს 1890 წ. სოფ. ზემოხოდაშენში. მოგვყავს ამ წერილიდგან ის ალაგი, რომელსაც უფრო მნიშვნელობა აქვს საქმისათვის: „პირველად არხ. ევგენიოზმა ჩვენ კარგად მიგვიღო, მაგრამ რა გაიგო, რო ფული არა მაქვს, დაიწყო ყვირილი: „მამე ჩემი ფული, დღესვე ჩაგაბარებ ზვარს და წაველ“-ო, მე განცვიფრებული ვარ; რა ვქნა; უცხო კაცი, ენის უცოდნელობა. შევეხვეწე, რომ ოთახში შემოსულიყო და ძმურად მოგველაპარაკნა, რადგანაც ხალხი შეიყარა იმის ყვირილზე, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და ამბობდა: „არა, მე ჩემი ფული მინდა, მომეცი და მაშინ წაველ“-ო.

2 წერილი—20 ნოემბერს 1890 წ. სოფ. ზემოხოდაშენში.

„გწერთ შესახებ არხ. ევგენიოზის შურისა და ეჭვისა, რომელნიც მან გამოაცხადა ქრისტოდულოს ჩემგნით მიღებაზე, და ამისათვის იგი მაისიდამ დაწყებული 5 ნოემბრამდის ყოველ დღე გვლანძღავდა და გვაგდებდა სახლიდან; მე, ჩავარდნილმა ამისთანა განწირულს მდგომარეობაში, რამდენჯერმე განვიზრახე, დანა დამეკრა ჩემთვის, მაგრამ მეშინოდა ცოდოსი; მონასტერმა მომანდო მე თავისი მამულები და ევგენიოზი-კი მლანძღავს; რამდენჯერმე „ვირი“ დამიძახა მთელის ქვეყნის წინაშე. მეუბნებოდა, რომ არაფერს მოგცემო, რადგანაც ჩვენს წინამძღვარს არ უნდა, რომ მამულები შენ გადმოგცეო. როცა მონასტერში ჩამოვიდეს, გთხოვთ, ჩააგონოთ. აქამდის იმიტომ არ მოგწერეთ წერილი, რომ ფული არ მქონდა გამოსაგზავნი წერილისა. არხ. ევგენიოზსა ვთხოვე, მაგრამ არ მომცა და მიპასუხა, რომ, როცა წავალ, მაშინაც შეიძლება“-ო.

შემდეგ ამისა ბრალმდებელის ამხანაგმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. ბრალმდებელმა ილაპარაკა $1^{1}/_{2}$ საათი.

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მსაჯულნი სათათბიროდ წავიდნენ ცალკე ოთახში, სადაც დაჰყვეს სრული $2^{1}/_{2}$ საათი. შემდეგ წაკითხულ იქმნა განაჩენი, რომლითაც ბრალდ. ებიტაშვილი დასჯილია 12 წლის კატორგით დ. ბრალდ. არხ. ნიფონი და ქრისტოდულო გამართლებულნი.—განაჩენის გათავება და საზოგადოების მიერ „ვაშას“ ძახილი ერთი იყო.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

5 დეკემბერი

ბერლინი. რეიხსტაგმა შეიწყნარა გერმანიასა და ავსტრიას შორის განზრახული სავაჭრო ხელ-შეკრულობა.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ნოემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 24 | 8, | 27 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 165 | | 166 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 19 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $236^{1}/_{2}$ | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | 215 | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 200 | | — | ,, | 201 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6% . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5% . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „Бабушка“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საagენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |

აბრეშუმის თესლეულობა

მმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) მმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში და საბრეშუმო, სადგურში მუშტაიდში, დაბეჭდილის ოთხ-კუთხის ყუთებითა და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 110, მმათ პასხალიდებს. (5—4)

„სარპინის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„სარპინკა-რელიეფი“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზვნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

*(10—1)*

სააფთიაქო საქონლის მაღაზია

რ. კელერისა და ამხ.

მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე

საკუთარი საქიმიო ქარხანა

საკუთარი აფთიაქი

ნარდად და წვრილად გასყიდვა

მუდამ ახალი და სალი (!) საქონელი

ფასები ზომიერი და შეკვეთილს ჩქარა ასრულებენ

შინაარსით ყველასთვის, საინტერესო პრეისკურანტი, ვისაც-კი წესი უყვარს და სილამაზის გემოც აქვს, გაეგზავნება მუქდად.

მრავალი საერთო სახმარებელი და სასარგებლო ნივთები

ვაჭრებისათვის პროვინციაში.

თუ მყიდველი მოისურვებს, საქონელი შეიძლება ისე გაიგზავნოს, რომ იმისი ფასი ადგილზედ გადაიხადოს, როცა საქონელი მყიდველს მიუა. (5—მ—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ)სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ. № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.